



საქართველოს მთავრობის განკარგულება


№1568 2015 წლის 17 ივლისი ქ. თბილისი

სს „კავკასიის მინერალებზე“ გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიაში ცვლილების შეტანაზე სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7¹ მუხლის 1³ პუნქტის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 14 მარტის №13/168 ბრძანების საფუძველზე, სს „კავკასიის მინერალებზე“ გაცემული სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი და იშვიათი მეტალები) მოპოვების ლიცენზიაში შეიტანოს ცვლილება და სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისა და მარაგების ანგარიშის წარდგენის ვადად განსაზღვროს ლიცენზიის გაცემიდან 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) თვე.

2. სს „კავკასიის მინერალები“ ვალდებულია, უზრუნველყოს ამ განკარგულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება ამავე დანართით განსაზღვრულ ვადებში.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი

სამუშაოწელი	ძირითადი სავარაუდო სამუშაოების ჩამონათვალი
1 ივნისი 2015 წ. – 31 დეკემბერი 2015 წ.	<ol style="list-style-type: none"> 1. ლები-ზოფხითო და საბადოს ტერიტორიაზე არსებული გზების, ხიდებისა და სხვა საინჟინრო ხელოვნური ნაგებობების აღდგენა (ყოველწლიურად); 2. საველე-გეოლოგიური ბანაკის მოწყობა (ყოველწლიურად); 3. დასასინჯ შტოლნებთან (მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრები) მისასვლელი ბილიკების გაყვანა და აღდგენა (ყოველწლიურად); 4. დაზიანებული შტოლნების აღდგენა (ყოველწლიურად); 5. 500 ან მეტი სინჯის აღება; 6. გახსნილი შტოლნების მარკშიდერული აგეგმვა; 7. საბადოს 3D მოდელის დაზუსტება (განახლება); 8. საბადოზე მოპოვებითი სამუშაოების მეთოდოლოგიის პირველადი განსაზღვრა; 9. გარემოსდაცვითი ანალიზების ჩატარება: წყალი, ჰაერი, ნიადაგი; 10. შესრულებული კვლევითი სამუშაოების საფუძველზე დადგენილი მარაგების ანგარიშის მომზადების დაწყება, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების უწყებათაშორისი კომისიისათვის წარსადგენად.
2016 წ.	<ol style="list-style-type: none"> 1. მიმდინარე წლის კვლევების სამუშაოების გეგმის დაზუსტება-კორექტირება; 2. ლები-ზოფხითო და საბადოს ტერიტორიაზე არსებული გზების, ხიდებისა და სხვა საინჟინრო-ხელოვნური ნაგებობების აღდგენა (ყოველწლიურად) 3. საველე-გეოლოგიური ბანაკის მოწყობა (ყოველწლიურად) 4. საბადოს მადნის ტექნოლოგიური კვლევების ჩატარება 5. მადნის დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მონახაზის შედგენა 6. ბურღვითი სამუშაოების დაპროექტება 7. ბურღვითი სამუშაოების ტენდერის ჩასატარებელი დოკუმენტაციის მომზადება; 8. კვლევების გეგმით გათვალისწინებული ლარული სინჯების აღება, სინჯების მომზადება, ქიმიური ანალიზი; 9. ახლადგახსნილი შტოლნების მარკშიდერული აგეგმვა (თუ კომპანიაზე დაასრულა 2015-2016 წლის სამუშაო პროგრამის ფარგლებში); 10. საბადოს 3D მოდელის დაზუსტება; 11. JORC-ის სტანდარტებით მარაგებისა და რესურსების ოდენობის ეტაპობრივი გამოთვლა-დაზუსტება; 12. საბადოზე მოპოვების მეთოდოლოგიის შემდგომი დაზუსტება; 13. მადნის დამუშავების პროცესის შემდგომი დაზუსტება; 14. საბადოს საექსპლუატაციო გზის მშენებლობის წინასწარი პროექტის შედგენა და სავარაუდო ბიუჯეტის დადგენა 15. საბადოს ათვისების წინასწარი შეფასების ანგარიშის (Preliminary Economic Assessment Report) შემუშავების დაწყება.

2017 წ.	<ol style="list-style-type: none"> 1. მიმდინარე წლის კვლევების სამუშაოების გეგმის დაზუსტება 2. ღები-ზოფხითო და საბადოს ტერიტორიაზე არსებული გზების, ხიდებისა და სხვა საინჟინრო-ხელოვნური ნაგებობების აღდგენა (ყოველწლიურად) 3. საველე გეოლოგიური ბანაკის მოწყობა (ყოველწლიურად) 4. ბურღვითი სამუშაოებისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა: ელექტროგაყვანილობა, ვენტილაცია; 5. ბურღვითი სამუშაოების შემსრულებლის შერჩევა 6. ბურღვითი სამუშაოების წარმოება; 7. საბადოზე დამატებითი ტექნოლოგიური კვლევების ჩატარება 8. კვლევების გეგმით გათვალისწინებული ღარული სინჯის აღება 9. კერნული და ღარული სინჯების მომზადება, ქიმიური ანალიზი; 10. JORC-ის სტანდარტებით მარაგებისა და რესურსების ოდენობის ეტაპობრივი გამოთვლა-დაზუსტება; 11. საბადოს 3D მოდელის დაზუსტება; 12. საბადოს ათვისების წინასწარი ეკონომიკური შეფასების ანგარიშის (Preliminary Economic Assessment Report) დაზუსტება 13. წინარე ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება (Pre-Feasibility Study);
2018 წ.	<ol style="list-style-type: none"> 1. მიმდინარე წლის კვლევების სამუშაოების გეგმის დაზუსტება; 2. ღები-ზოფხითო და საბადოს ტერიტორიაზე არსებული გზების, ხიდებისა და სხვა საინჟინრო-ხელოვნური ნაგებობების აღდგენა (ყოველწლიურად); 3. საველე გეოლოგიური ბანაკის მოწყობა (ყოველწლიურად); 4. ბურღვით სამუშაოების წარმოება; 5. კვლევების გეგმით გათვალისწინებული ღარული სინჯების აღება; 6. კერნული და ღარული სინჯების მომზადება, ქიმიური ანალიზი; 7. JORC-ის სტანდარტებით მარაგებისა და რესურსების ოდენობის ეტაპობრივი გამოთვლა-დაზუსტება; 8. საბადოს 3D მოდელის დაზუსტება; 9. გარემოზე ზემოქმედების შეფასება; 10. სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიაში საბადოს მარაგების ანგარიშის წარდგენა 11. საბადოს დამუშავების დეტალური დაპროექტება; 12. საბადოს ექსპლუატაციისთვის საჭირო გზების, ხიდების და სხვა ინფრასტრუქტურის დაპროექტება; 13. საბადოს ათვისების წინასწარი ეკონომიკური შეფასების ანგარიშის (Preliminary Economic Assessment Report) მომზადება; 14. წინარე ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება (Pre-Feasibility Study);
2019 წ.	<ol style="list-style-type: none"> 1. მიმდინარე წლის კვლევების სამუშაოების დაზუსტება; 2. ღები-ზოფხითო და საბადოს ტერიტორიაზე არსებული გზების, ხიდებისა და სხვა საინჟინრო-ხელოვნური ნაგებობების აღდგენა (ყოველწლიურად); 3. საველე გეოლოგიური ბანაკის მოწყობა (ყოველწლიურად); 4. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (Feasibility Study) საბოლოო ანგარიშის მომზადების დაწყება; 5. JORC-ის სტანდარტებით მარაგებისა და რესურსების ოდენობის ეტაპობრივი გამოთვლა-დაზუსტება; 6. საბადოს 3D მოდელის დაზუსტება; 7. გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადება; 8. საბადოს დამუშავებულ დეტალური დაპროექტება; 9. კვლევების შემაჯამებელი ანგარიშების მომზადების დაწყება.
1 იანვარი 2020 -30 მაისი 2020	<ol style="list-style-type: none"> 1. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების (Feasibility Study) საბოლოო ანგარიშის წარდგენა 2. JORC-ის სტანდარტებით მარაგებისა და რესურსების ოდენობის ეტაპობრივი გამოთვლა-დაზუსტება; 3. საბადოს 3D მოდელის დაზუსტება 4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების დასრულება და წარდგენა 5. კვლევების შემაჯამებელი ანგარიშების დასრულება და წარდგენა 6. სახელმწიფო მარაგების კომისიაში საბადოს მარაგების ანგარიშის წარდგენა